GREEN CLIMATE FUND

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

Sverige

UNDP

კლიმატის ელჩები „იუნიონ ბრიჯი“

ჩვენ ვართ ჯგუფი „Union Bridge - დამაკავშირებელი ხიდი“. საპროექტო იდეა, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ, შეიქმნა მწვანე ბანაკში -,,კლიმატის ელჩები”, რომელიც გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ ხორციელდება და ემსახურება ახალგაზრდებში გარემოსდაცვით საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას.

ჩვენი ჯგუფის მიზანია სხვადასხვა თაობების გაერთიანება კატასტროფების რისკის შემცირებისათვის.

პროექტი "Union Bridge" მოიცავს ინოვაციურ, შემოქმედებით, საგანმანათლებლო საქმიანობას კლიმატის ცვლილებისა და კატასტროფის რისკის შემცირების შესახებ ცნობიერების ამაღლებას სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში. პროექტის ფარგლებში ჩვენ ვთავაზობთ მოსახლეობას სხვადასხვა საინტერესო საგანმანათლებლო აქტივობებს:

- ტრენინგ-სემინარები;
- დებატები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით;
- შემეცნებითი თამაში “მწვანე - რა? სად? როდის?”;
- ლაშქრობები;
- ფორუმ-თეატრი.

ჩვენი ჯგუფის ყველა აქტივობა მიმართულია თემში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების როლის გაძლიერებასა და თემის გააქტიურებაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შესამცირებლად.